

ტესტი სტუდენტების საბრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. წაკითხულის გააზრება – 21 ტესტური დავალება.
2. ლოგიკური მსჯელობა – 14 ტესტური დავალება.
3. რაოდენობრივი მსჯელობა – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!



წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

ტექსტი A

რევოლუციის საწინააღმდეგოდ საფუძვლიანი მოსაზრებები არსებობს. განსაკუთრებით საგულისხმოა ისტორიის ფილოსოფოსთა შეხედულებები; მათ შორის არიან: **თუკიდიდე, დევიდ იუმი, იპოლიტ ტენი და ფრანსუა გიზო**. ეს მოაზროვნეები რევოლუციისაგან წარმოქმნილ პრობლემებს გაცილებით სწორად განიხილავენ, ვიდრე – თანამედროვე სოციალური მეცნიერების წარმომადგენელი. აღნიშნული ავტორები ასაბუთებენ, რომ რევოლუცია არღვევს ინსტიტუტების მიმართ პატივისცემასა და ჩვევაში გადასულ კანონმორჩილებას.

თომას მაკოლის „ინგლისის ისტორია“ დაგვეხმარება, ბევრი რამ გავიგოთ რევოლუციის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. მაკოლის მიხედვით, „რევოლუციების დროს ადამიანები სწრაფად ცხოვრობენ. წლების გამოცდილება საათებში ჯამდება, ძველი ჩვეულებები ძალის მემკვიდრით უქმდება;“ რევოლუციის „საკუთრივი პრინციპია აჯანყების გამართლება“; რევოლუციამ შეიძლება გამოიწვიოს „დაუსრულებელი ინოვაცია, უშედეგო და დამღლელი...“ ინგლისის უფრო ადრინდელი ისტორიიდან გავიხსენოთ **დევიდ იუმის** აზრიც, რომ „ყოველი მომდევნო რევოლუცია შემდეგის წინამორბედი გახდა.“ ჩვენი თანამედროვე **ჩარლზ ტილი** კი ასკვნის, რომ საფრანგეთმა „ოთხი რევოლუცია განვლო 1789 – 1799 წლებში.“ ისევ მაკოლის მიხედვით, რევოლუციურ გარემოში „მთელი პოლიტიკური სამყარო ფორმისა და სივრცის გარეშე რჩება“, ანუ პოლიტიკოსებს აღარ გააჩნიათ ძალაუფლების ეფექტური ბერკეტი, მაშინაც კი, თუ ისინი სახელმწიფოზე დროებით კონტროლს მოიპოვებენ. სწორედ ასეთი იყო 1990-იან წლებში რუსული პოლიტიკის მწარე რეალობაც. დემოკრატიის გმირები (პოპოვი, **სტანკევიჩი, სობჩაკი...**) „გაქრნენ“, ზოგი მათგანი, სამწუხაროდ, ოპორტუნისტად იქცა. ამის მიზეზი ნაწილობრივ ის უნდა იყოს, რომ მათი პოლიტიკური გარემო შემთხვევითობებზე იყო დამყარებული, ამდენად, ისინი იძულებულნი გახდნენ, გასცლოდნენ პოლიტიკას ან იქით წასულიყვნენ, საითაც ქარი დაუბერავდა. რევოლუციას, როგორც წესი, იმგვარი ადამიანები მოჰყავს ხელისუფლებაში, რომელთაც არ გააჩნიათ არსებული რესურსების გამოყენების გამოცდილება (ასეთი იყო, მაგალითად, **აბულფაზ ელჩიბეი** აზერბაიჯანში). რევოლუცია აჩენს ენთუზიაზმს, ქმნის ხალხში დიდ იმედებს და გარდაუვალ გაწბილებებს იწვევს.

ე. წ. **დირექტორია**, ჯგუფი, რომლის წევრებიც ფლობდნენ ძალაუფლებას საფრანგეთში 1795-99 წლებში, შედგებოდა ყოფილი იაკობინელებისაგან, რომლებიც მას შემდეგ, რაც რევოლუციამ ამოწურა თავისი თავი, პირველ რიგში დაინტერესებულნი იყვნენ საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნებით. კლასიკური რევოლუციის ისტორიიდან დამოწმებული ეს ფაქტი კარგად მიესადაგება პოსტსაბჭოთა კლექტოკრატიასაც. საბოლოოდ, ხელისუფალთათვის ძნელია, გაუძლონ ცდუნებას და არ გამოიყენონ ძალაუფლება სათავისოდ.

ტექსტის გაგრძელება ->

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

შეუძლებელია, რევოლუცია იყოს კანონიერი ან კონსტიტუციური, რადგან ის რეჟიმის შეცვლას ნიშნავს, ხოლო კანონებს რეჟიმი ქმნის. ძალადობა, რომელიც კლასიკური რევოლუციების განუყოფელი ნაწილია, ე. წ. „ხავერდოვანსა“ და „ფერად“ რევოლუციებშიც კი ჰპოვებს გამოძახილს. როდესაც რევოლუციის მიმდევრები მოდიან ხელისუფლებაში, მათი პრესტიჟი რევოლუციურ იდეებს, სიმბოლოებსა და მოტივებს ემყარება. ბუნებრივია, ეს მმართველები ცდილობენ, მოძებნონ გზა რევოლუციური განწყობის აღსადგენად. ერთი ასეთი საშუალება შეიძლება იყოს ტერორი, რომელიც ხელახლა დაყოფდა საზოგადოებას მეგობრებად და მტრებად და ძალადობით გამოწვეულ მღელვარებას შექმნიდა. წარსულიდან გავიხსენოთ, რომ **სტალინმა** „მეორე რევოლუცია“ განახორციელა, ასევე, საყურადღებოა ჩინეთის, კერძოდ, **მაო ძედუნის** მაგალითიც, რომელმაც აშკარად სცადა სახალხო აჯანყების პერიოდის აღდგენა „კულტურული რევოლუციის“ გზით... რევოლუცია არის იდეა, რომელიც ლეგიტიმურობას ანიჭებს არაკონსტიტუციურ და, ხშირად, ძალადობრივ გზას ძალაუფლებისაკენ. ისტორიის კვლევა გვიჩვენებს, რომ რევოლუციების ამგვარი ბოროტად გამოყენება სულ უფრო ხშირია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რევოლუცია გასცდა ევროპის ფარგლებსა და ევროპელთა მიერ კოლონიზებულ ადგილებს (ამ შემთხვევებში მას უფრო ღრმა სოციალური და იდეოლოგიური ფესვები ჰქონდა!). რევოლუციური ტრადიციები თანდათანობით ტრანსფორმირდა. 1990-იან წლებში რევოლუციის დროშას ამოეფარნენ ისეთი დაჯგუფებები, რომლებიც ძალაუფლების მოპოვების შემდეგ მხოლოდ საკუთარი ლიდერების ამბიციებსა და ძარცვის სურვილს ემსახურებოდნენ; ასეთი იყო, მაგალითად, ერთიანი რევოლუციური ფრონტი სიერა ლეონეში. რამდენ მოძალადე, არაკეთილსინდისიერ ადამიანს მისცა ძალაუფლება რევოლუციურმა იდეამ!

დაბოლოს, დასავლური რევოლუციური ტრადიციის ერთი უცნაური რწმენა ისაა, რომ შევიწროება, ცუდი პირობები (რაც აზიანებს ადამიანის ბუნებასა და შესაძლებლობებს) აუცილებელი პრელუდიაა უკეთესი გარემოს მისაღწევად. ეს რწმენაა გადმოცემული მარქსისტულ დოქტრინაში, რომლის მიხედვითაც – პროლეტარიატის მზარდი გაჭირვება რევოლუციური აღორძინების დასაწყისია. ზოგადად, ეს დამოკიდებულება საერთოა ყველა რევოლუციისთვის. თითოეული მათგანი აჩვენებს, რომ რევოლუცია რეაქციაა შევიწროებაზე. თუმცა, არ არის ცხადი, თუ რატომ უნდა დაბადოს უარესმა უკეთესი?! უცნაურია ვარაუდი, რომ გაჭირვება, შევიწროება ადამიანის ხელახალ დაბადებას იწვევს.

რევოლუცია ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში და ადგილას გაჩნდა – მკვლევართა აზრით, ევროპის ადრინდელი მოდერნიზაციის დროს. კლასიკურ ანტიკურ ხანაში, მწვავე კლასობრივი კონფლიქტების, რეჟიმის უეცარი ცვლილებებისა და ფილოსოფიური პოზიციებით დაპირისპირებულ მხარეთა არსებობის მიუხედავად, რევოლუცია არ მომხდარა. ეს ისტორიული ფაქტი ბადებს კითხვას: შეიძლება თუ არა, რომ რევოლუციები ოდესმე საბოლოოდ გაქრეს? ეს შეკითხვა კი გაამწვავა იმ გზამ, რომელმაც 1989-91 წლებში კომუნისტური მმართველობა დანგრევამდე მიიყვანა.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

1. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო მართებულად ავტორის მთავარ მიზანს?

(ა) მოგვაწოდოს სხვადასხვა მკვლევართა მიერ გაკეთებული შეფასებები რევოლუციის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე.

(ბ) ახსნას, ისტორიის რომელ მონაკვეთში, სად და რატომ გაჩნდა რევოლუცია.

(გ) დაახასიათოს რევოლუციათა სხვადასხვა ტიპი და მათი განსხვავებული მიზნები.

(დ) წარმოაჩინოს რევოლუციის იდეის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებების არსებობა და ამ იდეის გადააზრების საფუძველი.

(ე) შეადაროს ერთმანეთს დასავლური რევოლუციური ტრადიცია და პროცესი, რომელმაც კომუნისტური მმართველობა დანგრევამდე მიიყვანა.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

2. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ავტორი მიიჩნევს, რომ ფილოსოფოსთა შეხედულებებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა ანტიკური ხანის მოაზროვნეთა თვალსაზრისები.
- (ბ) ავტორის აზრით, თანამედროვე სოციალური დარგის მეცნიერები სათანადოდ ვერ ანალიზებენ რევოლუციისაგან წარმოქმნილ პრობლემებს.
- (გ) ავტორს მიაჩნია, რომ დევიდ იუმმა და ჩარლზ ტილმა ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გამოთქვეს რევოლუციის შესახებ.
- (დ) ავტორი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ 1990-იან წლებში რუსული დემოკრატიის ყოფილი გმირების ნაწილი ოპორტუნისტად იქცა.
- (ე) ავტორი არ იზიარებს მკვლევართა მოსაზრებას, რომ რევოლუციის იდეა ევროპის ადრინდელი მოდერნიზაციის დროს დაიბადა.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

3. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) რევოლუციური იდეა ზოგჯერ არაკეთილსინდისიერსა და მოძალადე ადამიანს უხსნის გზას ძალაუფლებისაკენ.
- (ბ) მარქსისტული დოქტრინის მიხედვით, პროლეტარიატის მზარდი გაჭირვება რევოლუციური აღორძინების დასაწყისია.
- (გ) ევროპის ფარგლებში გაჩენილ რევოლუციებს ღრმა სოციალური და იდეოლოგიური ფესვები ჰქონდა.
- (დ) ისტორიის კვლევა გვიჩვენებს, რომ რევოლუციის იდეის ბოროტად გამოყენება სულ უფრო ხშირად ხდება.
- (ე) კლასიკურ ანტიკურ ხანაში არ შეინიშნება მწვავე კლასობრივი კონფლიქტებისა და ურთიერთდაპირისპირებული მხარეების არსებობა.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

4. რა მიზნით იმოწმებს ავტორი სტალინისა და მათ პედუნის მაგალითებს?

რათა დაადასტუროს, რომ

- (ა) რევოლუციები ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში და ადგილას გაჩნდა.
- (ბ) ერთიანი რევოლუციური ფრონტი უფრო მეტ გარანტიას ქმნის წარმატებისთვის.
- (გ) შევიწროება, ცუდი პირობები, აზიანებს ადამიანის ბუნებას და ამცირებს მის შესაძლებლობებს.
- (დ) მმართველები, როგორც წესი, ცდილობენ, ახალი გზა გამოძებნონ ქვეყანაში რევოლუციური განწყობის აღსადგენად.
- (ე) რევოლუცია არის იდეა, რომელიც ლეგიტიმურობას ანიჭებს არაკონსტიტუციურ გზას ძალაუფლებისაკენ.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

5. რას უწოდებთ ავტორმა „რევოლუციური ტრადიციის ერთი უცნაური რწმენა“?

- (ა) რევოლუცია არის იდეა, რომელიც ლეგიტიმურობას ანიჭებს ძალადობრივ გზას ძალაუფლებისაკენ.
- (ბ) როდესაც რევოლუციის მიმდევრები მოდიან ხელისუფლებაში, მათი პრესტიჟი ემყარება რევოლუციურ იდეებს, სიმბოლოებსა და მოტივებს.
- (გ) რევოლუცია აჩენს ენთუზიაზმს, ქმნის დიდ იმედებს და იწვევს გარდაუვალ გაწბილებებს.
- (დ) რევოლუციების დროს ადამიანები სწრაფად ცხოვრობენ, წლების გამოცდილება რამდენიმე საათში ჯამდება.
- (ე) რევოლუციის მიმდევართა წარმოდგენით, გაჭირვება და შვეიწროება აუცილებელი წინაპირობაა უკეთესი გარემოს მისაღწევად.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

6. თვალსაზრისს, რომ რევოლუცია კაცობრიობის ისტორიის თანამდები მოვლენა არ არის, განამტკიცებს ტექსტში წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია:

- I. კლასიკურ ანტიკურ ხანაში რევოლუცია არ მომხდარა.
- II. რევოლუცია ევროპის ადრინდელი მოდერნიზაციის ისტორიულ პერიოდში გაჩნდა.
- III. შეუძლებელია, რევოლუცია იყოს კანონიერი ან კონსტიტუციური, რადგან ის რეჟიმის შეცვლას ნიშნავს.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) სამივე.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

7. ავტორის შეხედულებით, აბულფაზ ელჩიბეის მაგალითი განამტკიცებს მოსაზრებას, რომ

(ა) რევოლუციონერ პოლიტიკოსებს აღარ გააჩნიათ ძალაუფლების ეფექტური ბერკეტი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი დროებით მოიპოვებენ სახელმწიფოზე კონტროლს.

(ბ) რევოლუციებს ისეთი ადამიანები მოჰყავს ხელისუფლებაში, რომელთაც არ გააჩნიათ მათ ხელთ არსებული რესურსების გამოყენების გამოცდილება.

(გ) მას შემდეგ, რაც რევოლუცია ამოწურავს თავის თავს, რევოლუციონერები, პირველ რიგში, დაინტერესებულნი არიან საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნებით.

(დ) პოლიტიკოსები ტერორს იყენებენ ხოლმე საშუალებად, რომლითაც საზოგადოებას მეგობრებად და მტრებად ყოფენ.

(ე) რევოლუცია არღვევს კანონმორჩილების ჩვევას და, შესაბამისად, მოხელეები მხოლოდ საკუთარ ლიდერთა ამბიციებს ემსახურებიან.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

8. საიმონ შამა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ ამბობს:

„ტერორი 1789 წელს დაიწყო. მან უამრავი ადამიანი შეიწირა. ცხადი შეიქნა, რომ ძალადობა უბრალოდ უბედური თანმდევი ეფექტი არ იყო, ის იყო რევოლუციის კოლექტიური ენერჯის წყარო.“

ტექსტის რომელ მოსაზრებას შეესაბამება და ადასტურებს ეს ინფორმაცია?

- (ა) ძალადობა კლასიკური რევოლუციების განუყოფელი ნაწილია.
- (ბ) როდესაც რევოლუციის მიმდევრები ხელისუფლებაში მოდიან, იდეალების ნაცვლად, საკუთარ ლიდერთა ამბიციებს ემსახურებიან.
- (გ) რევოლუცია – ეს არის რეაქცია შევიწროებაზე.
- (დ) რევოლუცია არღვევს ინსტიტუტების მიმართ პატივისცემას.
- (ე) რევოლუციის ლიდერთა სამოქმედო პოლიტიკური გარემო დამყარებულია შემთხვევითობებზე.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

9. ტექსტის მიხედვით, რა საერთოა საფრანგეთის დირექტორიისა და სიერა ლეონეს მაგალითებს შორის?

ორივეთი დასტურდება, რომ

- (ა) რევოლუციური ტრადიციების თანდათანობითი ტრანსფორმირება 1989-91 წლებიდან იწყება.
- (ბ) ხელისუფალთათვის ძნელია ძალაუფლების პირადი ინტერესებისთვის გამოყენების ცდუნების გაძლება.
- (გ) აჯანყების გამართლება მხოლოდ კლასიკური რევოლუციის საკუთრივი პრინციპია.
- (დ) როგორც წესი, ყოველი მომდევნო რევოლუცია შემდეგის წინამორბედი ხდება.
- (ე) რევოლუცია გავრცელდა და გასცდა ევროპელი მოსახლეობის მიერ კოლონიზირებულ ადგილებს.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

10. გაეცანით ციტატას ანალიტიკური სტატიიდან:

„მართალია, პოსტკომუნისტური გადატრიალებები განიხილება როგორც „ხავერდოვანი რევოლუცია“, ანუ არაძალადობრივი გზით რეჟიმის შეცვლა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში ამ გადატრიალებათაგან ცხრას მოჰყვა ეთნიკური წმენდა ძალადობრივად.“

ეს ფაქტი

- (ა) ასაბუთებს დადებით პასუხს ამ ტექსტში დასმულ კითხვაზე: შეიძლება თუ არა, რომ რევოლუციები ოდესმე საბოლოოდ გაქრეს?
- (ბ) კლასიკური ანტიკური ხანის პოლიტიკური გარემოსა და მოვლენების ანალოგიურია.
- (გ) მიესადაგება ამ ტექსტის ავტორის მოსაზრებას რევოლუციისა და ძალადობის მჭიდრო კავშირის შესახებ.
- (დ) ჩინეთში განხორციელებული სახალხო აჯანყებისა და „კულტურული რევოლუციის“ ფაქტების იდენტურია.
- (ე) ეჭვის ქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ რევოლუციების ბოროტად გამოყენება სულ უფრო ხშირად ხდება.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

11. ტექსტის მიხედვით, როგორც წესი, რა ახასიათებს რევოლუციას?

- I. სახალხო ენთუზიაზმი და მოვლენათა დაჩქარება
- II. სწრაფი და შედეგიანი ინოვაციები
- III. აჯანყების გამართლება
- IV. ძალადობრივი ქმედება

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I, II, III
- (ბ) მხოლოდ I, II, IV
- (გ) მხოლოდ I, III, IV
- (დ) მხოლოდ II და IV
- (ე) ოთხივე

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

ტექსტი B

მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, ევროპის, როგორც კულტურული სივრცის, იდენტობის კვლევას ანტიკური ეპოქის საბერძნეთთან მივყავართ. ძვ. წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსის – **ჰეროდოტეს** თხზულების ცალკეულ მონაკვეთში აშკარად გაიგივებულია ევროპა და საბერძნეთი. ამდენად, „ევროპული იდენტობის“ კვლევისას აუცილებელია ისტორიულად მისი პირველი წარმომდგენის – „ელინის/ბერძენის“ იდენტობის ფორმულირების შესწავლა. კერძოდ, იმის გარკვევა, თუ რომელი კომპონენტებით განსაზღვრავდნენ „ელინის“ იდენტობას, რამდენად ცვალებადი იყო ეს კომპონენტები და რაზე იყო დამოკიდებული ცვლილება. მნიშვნელოვანია ერთი საკითხიც – ხომ არ ჩანს უკვე ანტიკურობაში იდენტობა „ელინის“ განმსაზღვრელად ის კომპონენტები, რომლებიც თანამედროვე ევროპული იდენტობის იდეას ეხმიანება? კვლევის ამ ეტაპზე ერთი რამ შეიძლება დაბეჭდითებით ითქვას – შეუძლებელია გამოვკვეთოთ ბერძნული/ელინური ეთნიკური იდენტობის ცალსახა ფორმულირება ძველი საბერძნეთის მთელი ისტორიის მანძილზე, რადგან თითოეული ეპოქა თავისებურად განსაზღვრავდა ერთობა „ელინის“ იდენტობას.

ჰომეროსის პოემებში, ძირითადად, არ შეინიშნება ხაზგასმა ტროელებსა და ბერძნებს შორის არსებულ ეთნიკურ განსხვავებაზე, არც აქვევლთა რიგებში არის ცხადად გამოკვეთილი საერთო ეთნიკურობის შეგრძნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ჰომეროსის** ეპოქაში ეთნიკური იდენტობის გაცნობიერების მხოლოდ მცირედი ნიშნები თუ შეიმჩნევა. არქაული პერიოდის ბერძნული სამყარო ეთნიკური იდენტობის განსაზღვრას მითიურ გენეალოგიაზე, საერთო ისტორიაზე აფუძნებს. ამგვარ ეთნიკურ იდენტობას მკვლევარი **ჯ. ჰოლი** „აგრეგატულ ეთნიკურობას“ უწოდებს. ძვ.წ. V ს-ის ბერძნულ-სპარსული ომები, ეს უდიდესი მოვლენა ძველი სამყაროს ისტორიაში, არსებითად ცვლის ეთნიკური იდენტობის გაგებას. ბერძენი საკუთარ იდენტობას უკვე „სხვასთან“/„არაბერძენთან“ წარმოსახვით კონტრასტზე აგებს, რასაც, **ჰოლის** მიხედვით, „ოპოზიციური ეთნიკურობა“ ეწოდა. ამ ოპოზიციური ეთნიკურობის ცნებაში უკვე გამოკვეთილია კულტურის (ფართო გაგებით) მახასიათებლები, რომლებიც განსხვავების საფუძველს ქმნის „ბერძნებსა“ და „არაბერძნებს“ შორის.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, **ჰეროდოტესთან** ელინური იდენტობის განსაზღვრაში კვლავაც თამაშობს თავის როლს წარმომავლობის ფაქტორი, ათენის ავტოქთონობის მითი ისევ ინარჩუნებს თავის პოზიციას, თუმცა, ამ პერიოდის მოვლენა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება – გენეალოგიის კომპონენტს უწინდელ წონას უკარგავს. შესაბამისად, მის „ისტორიაში“ წარმოდგენილია ეთნიკური იდენტობის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ერთგვარ ბალანსს გამოხატავს გენეალოგიით განსაზღვრულ იდენტობასა და ძვ.წ. V საუკუნის ავტორთა მიერ კულტურაზე ფოკუსირებულ იდენტობას შორის. მკვლევართა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ცნება „ელინის“ **ჰეროდოტე**, უმთავრესად, კულტურით განპირობებულ იდენტობად მოიაზრებს. თავად კულტურაში კი მისთვის გადამწყვეტია ერთი ასპექტი – პოლიტიკური წყობა, რომელიც მთავარი „წყალგამყოფია“ ბერძენსა და არაბერძენს შორის.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

შემდგომი პერიოდის ისტორიკოსი **თუკიდიდე**, როგორც წესი, ეთნიკურ იდენტობას სულიერი ერთობის კონტექსტში არ განიხილავს. მის თხზულებაში (*პერიკლეს სამგლოვიარო სიტყვაში*) ათენელების გამორჩეულობა უფრო კულტურით აიხსნება, ვიდრე მათი ბუნებით. კულტურაში კი, უპირველესად, მოქალაქედ აღზრდა და საზოგადო ღირებულებები იგულისხმება. ამასთან, სიტყვაში ხაზი ესმება პოლიტიკური წყობის იმ მახასიათებლებსაც, რომლებმაც ათენის უნიკალურობა გამოკვეთა საბერძნეთის ისტორიაში.

გვიანკლასიკურ, ელინისტურსა და რომაულ, ეპოქაში ბერძნული სამყაროს გაზრდილმა სივრცემ განაპირობა იდენტობის იმგვარი ფორმულირება, რომელიც, ძირითადად, განათლებასა და ცხოვრების წესს ემყარებოდა. რომის იმპერიის პერიოდში ბერძნული იდენტობის განსასაზღვრად გენეალოგიის ფაქტორი აღარ ფიგურირებს და ბერძნული ეთნიკურობა, უმთავრესად, „წარსული დიდების“ მიმართ ნოსტალგიას ეფუძნება.

გარდამტეხი ცვლილება „ელინის“ განსაზღვრაში ძვ.წ. IV ს-ის ორატორს – **ისოკრატეს** შეაქვს. ცვლილების არსებითი მიზეზი პოლიტიკურ კონტექსტში უნდა ვეძებოთ. ძვ.წ. IV ს-ში მაკედონიის სამეფოს აღზევება და საბერძნეთის ცხოვრებაში მისი ჩართვა ცვლის აქცენტს ცნება „ბერძენის“ იდენტობის განსაზღვრაში. მაკედონიისა და საბერძნეთის ერთ ძალად გაერთიანებისათვის „ბერძენის“ იდენტობის ფორმულირებაში აღარ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საერთო სისხლისა და ნათესაობის ფაქტორი. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მაკედონია მონარქია იყო და არა დემოკრატია, პოლიტიკური მოდელი აღარ გამოდგებოდა იდენტობა „ელინის“ განმსაზღვრელ ნიშნად. ტერმინ „ელინის“ ფორმულირებისას ისოკრატესთვის მთავარი არ არის არც სისხლი და რასა და არც პოლიტიკური მოდელი; მისთვის „ელინობის“ მთავარი განმსაზღვრელი განათლება/ინტელექტი და ცხოვრების წესია. როგორც ის აცხადებს: „ათენის დამსახურება ისაა, რომ სახელი ბერძენი მეტად აღარ მიემართება ეთნიკურ კავშირებს, არამედ დაკავშირებულია ინტელექტთან, აზროვნების წესთან. და მართლაც, ბერძნებად იწოდებიან ისინი, ვისაც ჩვენთან უფრო მეტი აქვთ საზიარო აღზრდა და განათლება, ვიდრე წარმომავლობა“. ამგვარი ფორმულირებით ცნება „ელინს“ ისოკრატე ადამიანთა იმ ჯგუფის მიმართ ავრცელებს, ვისაც ელინური აღზრდა-განათლების სკოლა ჰქონდა გავლილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ელინობა“ კულტურით განპირობებული იდენტობაა და მასთან ზიარება შესაძლებელია.

ამდენად, იდენტობა „ელინობა“ განვითარების სტადიალურ გზას გადის – წარმომავლობაზე დაფუძნებულიდან კულტურით განპირობებულ იდენტობამდე, კულტურაში კი უმთავრესი ხდება განათლება/აზროვნებისა და ცხოვრების წესის ფაქტორები.

დღეს მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ისოკრატესეულ ფორმულირებას ბევრი საერთო აქვს თანამედროვე „ევროპული იდენტობის“, როგორც მეტაეთნიკური იდენტობის ფენომენთან. ისოკრატეს მიერ შემოტანილი განმსაზღვრელი – განათლება/ინტელექტი და მორალური ღირებულებები – გამომახილს პოულობს ევროპული იდენტობის შესახებ თანამედროვე დისკურსებში. ევროპა მისიწრაფის, თავი წარმოადგინოს ტრადიციისა და ღირებულებათა გაერთიანებად. შესაბამისად, კულტურული კავშირების იდეას, რომელსაც ისოკრატე ცნება „ელინის“ განმსაზღვრელად, ელინთა გამაერთიანებლად განიხილავდა, ეხმიანება თანამედროვე ევროპელთა მცდელობა, გაამყარონ ცნება „ევროპული იდენტობის“ სიცოცხლისუნარიანობა.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

12. ჩამოთვლილთაგან რომელი გადმოგვცემს უფრო ზუსტად და მართებულად ტექსტის ძირითად საკითხს?

- (ა) პარალელები ძველი საბერძნეთისა და თანამედროვე ევროპის ისტორიებში
- (ბ) კულტურის ფაქტორი ევროპული იდენტობის დადგენასა და განსაზღვრაში
- (გ) ერთობა „ელინის“ უნიკალურობა და ათენის კულტურულ-პოლიტიკური მახასიათებლები
- (დ) იდენტობა „ელინის“ განვითარების გზა და თანამედროვე მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებები
- (ე) იდენტობა „ელინის“ ისტორიის მიმოხილვა და თანამედროვე „ევროპული იდენტობის“ დისკურსი

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

13. ტექსტის მიხედვით, მართებულია მოსაზრება, რომ:

- (ა) ჰომეროსმა გარდამტეხი ცვლილება შეიტანა ერთობა „ელინის“ იდენტობის განსაზღვრაში.
- (ბ) პერიკლეს სამგლოვიარო სიტყვაში თუკიდიდემ ათენელთა გამორჩეულობა მათივე ბუნებითა და სულიერი ერთობით ახსნა.
- (გ) იდენტობა „ელინის“ ისოკრატეს მიერ დადგენილ მახასიათებლებს ეხმიანება თანამედროვე ევროპელ მკვლევართა მოსაზრებები.
- (დ) მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ჰეროდოტეს თვალსაზრისს ბევრი საერთო აქვს მეტაეთნიკური იდენტობის თანამედროვე იდეასთან.
- (ე) მკვლევარ ჰოლის ანალიზის მიხედვით, ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“ აბალანსებს გენეალოგიით განსაზღვრულსა და კულტურაზე ფოკუსირებულ კრიტერიუმებს.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

14. ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომლით განისაზღვრება ტექსტში ე. წ. აგრეგატული ეთნიკურობა?

- (ა) აღზრდა-განათლება
- (ბ) საერთო ისტორია
- (გ) ცხოვრების წესი
- (დ) საზოგადო ღირებულებები
- (ე) კულტურული კავშირები

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

15. მეცნიერთა ნაწილის აზრით, პოლიტიკურ წყობას „ბერძნებსა“ და „არაბერძნებს“ შორის განსხვავების უმთავრეს კრიტერიუმად მიიჩნევა

- (ა) პოეტი ჰომეროსი
- (ბ) მკვლევარი ჰოლი
- (გ) ისტორიკოსი ჰეროდოტე
- (დ) ორატორი ისოკრატე
- (ე) ისტორიკოსი თუკიდიდე

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

16. რატომ დაკარგა პოლიტიკურმა მოდელმა იდენტობის განმსაზღვრელი როლი ძვ. წ. IV საუკუნის საბერძნეთში?

იმიტომ, რომ:

- (ა) იდენტობის ფორმულირება, ამ ეპოქის თავისებურებიდან გამომდინარე, უფრო მეტად დაეყრდნო საერთო სისხლისა და ნათესაობის ფაქტორს.
- (ბ) ამ ეპოქაში საბერძნეთი მეტაეთნიკური იდენტობის წინააღმდეგი იყო, ათენის ავტოქთონობის მითი კვლავ ინარჩუნებდა თავის პოზიციას.
- (გ) აღზევებულ რომის იმპერიას აღარ გამოადგებოდა ათენის ის პოლიტიკური მახასიათებლები, რომლებმაც მისი უნიკალურობა განაპირობეს საბერძნეთის ისტორიაში.
- (დ) იდენტობის ამ მოდელით განსაზღვრულ ფორმულირებაში ერთმანეთთან ვერ შეთავსდებოდა ათენის დემოკრატია და მაკედონიის მონარქია.
- (ე) ტერმინ „ელინის“ ფორმულირებაში მთავარი გახდა რასა და ცხოვრების წესი, რაც, თავის მხრივ, „წარსული დიდების“ მიმართ ნოსტალგიას ეფუძნებოდა.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

17. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) „ელინის“ ეთნიკური იდენტობის საერთო ფორმულირება ძველი საბერძნეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდისათვის შეუძლებელია, რადგან მას ყოველი ეპოქა თავისებურად განსაზღვრავდა.
- (ბ) რომის იმპერიის პერიოდში არაადეკვატური იყო ბერძნული იდენტობის განმსაზღვრელად გენეალოგიის კრიტერიუმის შერჩევა და მისადაგება.
- (გ) „ბერძენის“ იდენტობის განსაზღვრაში აქცენტი მკვეთრად შეცვალა მაკედონიის სამეფოს აღზევებამ და მისმა ჩართვამ საბერძნეთის ცხოვრებაში ძვ. წ. IV საუკუნეში.
- (დ) ძვ. წ. IV საუკუნეში „ელინობა“ კულტურით განპირობებულ იდენტობად გაიაზრებოდა და, შესაბამისად, „არაბერძენისათვის“ მასთან ზიარება შეუძლებელი იყო.
- (ე) ჰეროდოტეს „ისტორიაში“ იდენტობა ელინის/ბერძენის დადგენის კრიტერიუმთა თაობაზე მეცნიერთა წრეში ორი განსხვავებული პოზიცია გამოიკვეთა.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

18. ქვემოთ ჩამოთვლილი ისტორიული ფაქტებიდან რომელმა შეუწყო ხელი ბერძნული იდენტობის დადგენაში კულტურის ან განათლების კრიტერიუმის წინ წამოწევას, წარმომავლობის კრიტერიუმთან შედარებით?

- I. ძვ. წ. V საუკუნეში მიმდინარე ბერძნულ-სპარსულმა ომებმა
- II. მაკედონიისა და საბერძნეთის ერთ ძალად გაერთიანებამ ძვ. წ. IV საუკუნეში
- III. ზოგადად ბერძნული სამყაროს სივრცის გაზრდამ ე. წ. გვიანკლასიკურ ეპოქაში

- (ა) მხოლოდ I-მა
- (ბ) მხოლოდ I-მა და II-მ
- (გ) მხოლოდ II-მ და III-მ
- (დ) მხოლოდ III-მ
- (ე) სამივემ

19. რას გულისხმობს ტერმინი „ოპოზიციური ეთნიკურობა“?

- (ა) საკუთარი იდენტობის აგებას ისტორიულ წარმომავლობაზე, მითიური გენეალოგიის ნაცვლად.
- (ბ) საკუთარი იდენტობის აგებას „სხვასთან“ წარმოსახვითი კონტრასტის გათვალისწინებით.
- (გ) გენეალოგიით განსაზღვრული იდენტობის საპირისპიროდ, კულტურაზე ფოკუსირებული იდენტობის უპირატესობას.
- (დ) ეთნიკური იდენტობის განხილვას არა პოლიტიკური, არამედ სულიერი ერთობის კონტექსტში.
- (ე) იდენტობის ფორმულირებაში დემოკრატია და მონარქია შორის არსებითი სხვაობის გათვალისწინებას.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

20. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს იდენტობა „ელინის“ განვითარების სტადიების ძირითად მახასიათებელთა სწორ თანამიმდევრობას?

- (ა) მითიური გენეალოგია – კულტურა და პოლიტიკური წყობა – განათლება და აზროვნების წესი
- (ბ) სულიერი ერთობა – აღზრდა და ღირებულებები – ეთნიკური კავშირი და პოლიტიკური მოდელი
- (გ) ეთნიკური კავშირი – აზროვნების წესი და პოლიტიკური წყობა – საერთო წარმომავლობა
- (დ) მითიური წარმომავლობა – კულტურა და პოლიტიკური მოდელი – საერთო ისტორია
- (ე) სისხლით ნათესაობა – განათლება და ინტელექტი – მორალი და სახელმწიფო მოწყობა

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

21. რა მიმართებაა ტექსტის პირველსა და ბოლო აბზაცებს შორის?

(ა) პირველ აბზაცში გამოკვეთილი საკითხის პასუხს ავტორი აყალიბებს ტექსტის ბოლო აბზაცში.

(ბ) პირველ აბზაცში ავტორი გამოკვეთს პრობლემებს, რომელთა გადაჭრის სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა განხილულია ბოლო აბზაცში.

(გ) პირველ აბზაცში ავტორი გამოთქვამს საკუთარ თვალსაზრისს, ხოლო ბოლო აბზაცში სხვადასხვა მკვლევართა პოზიციას გვაცნობს.

(დ) პირველ აბზაცში წარმოდგენილ მკვლევართა პოზიციას ბოლო აბზაცში ავტორი არ იზიარებს და საკითხის საკუთარ ინტერპრეტაციას გვაწვდის.

(ე) ბოლო აბზაცში ავტორი ერთ-ერთ გადაუჭრელ, პრობლემურ საკითხად მიიჩნევს პირველ აბზაცში წარმოდგენილ შეხედულებას.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

ამოცანა 22.

მოცემულია წინადადება:

- არსებობს საკვები, რომელიც გემრიელიც არის და სასარგებლოც.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების ტოლფასი?

- (ა) ტყუილია, რომ ყველა გემრიელი საკვები უსარგებლოა.
- (ბ) შეუძლებელია, რომ ყველა საკვები იყოს უსარგებლო და უგემური.
- (გ) არსებობს საკვები, რომელიც სასარგებლოა და არსებობს საკვები, რომელიც გემრიელია.
- (დ) ზოგიერთი საკვები სასარგებლოა, ზოგიერთი – გემრიელი.
- (ე) არსებობს სასარგებლო საკვები და არსებობს უგემური საკვები.

ამოცანა 23.

ლაბორატორიის თანამშრომლების შესახებ ცნობილია, რომ:

- ფლორისტაგან ერთი მაინც არის გენეტიკოსი.
- გენეტიკოსთაგან ერთი მაინც არის ბიოლოგი.
- ფლორისტაგან ერთი მაინც არის ორნითოლოგი.
- ყველა ორნითოლოგი არის ბიოლოგი.

ამ ლაბორატორიის თანამშრომელთა შესახებ ქვემოთ გამოთქმულ წინადადებათაგან რომელი **გამომდინარეობს** პირობიდან?

- (ა) ორნითოლოგთაგან ერთი მაინც არის გენეტიკოსი.
- (ბ) გენეტიკოსთაგან ერთი მაინც არ არის ორნითოლოგი.
- (გ) ფლორისტაგან ერთი მაინც არ არის ორნითოლოგი.
- (დ) ბიოლოგთაგან ერთი მაინც არ არის ორნითოლოგი.
- (ე) ბიოლოგთაგან ერთი მაინც არის ფლორისტი.

ამოცანა 24.

საქართველოს იმ მოქალაქეთა პროცენტული წილი, რომელიც შვებულებას ქვეყნის გარეთ ატარებს, ბევრად დიდია ახლა, ვიდრე 15 წლის წინ იყო. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ შვებულების გატარება ყოველთვის საკმაოდ ძვირი იყო. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მოქალაქეებს საშუალოდ ახლა უფრო მეტი ფული აქვთ შვებულებისათვის, ვიდრე 15 წლის წინ ჰქონდათ.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი გამოდგება პირობაში მოცემული მსჯელობის გასამყარებლად?

- (ა) ახლა საქართველოს უფრო მეტი მოქალაქე ატარებს შვებულებას ქვეყნის გარეთ, ვიდრე ქვეყნის შიგნით.
- (ბ) 15 წლის წინ საქართველოს მოქალაქეთა უფრო დიდ ნაწილს რომ ჰქონოდა შვებულების უცხოეთში გატარების ფინანსური საშუალება, ისინი ამას გააკეთებდნენ.
- (გ) საქართველოს ფარგლებში არსებულ კურორტებზე შვებულებას 15 წლის წინ მოქალაქეთა უფრო დიდი ნაწილი ატარებდა, ვიდრე ახლა.
- (დ) შვებულების საზღვარგარეთ გატარებისათვის საჭირო თანხები ახლა შედარებით მცირეა, ვიდრე ეს 15 წლის წინ იყო.
- (ე) 15 წლის წინანდელთან შედარებით საქართველოში ბევრად მოიმატა ტურისტთა რაოდენობამ.

ამოცანა 25.

სარევიზიო ჯგუფში სულ 30 თანამშრომელი მუშაობს, რომელთაგან თითოეული ან ეკონომისტია, ან იურისტი. მათგან უნდა შეიქმნას სამი 10-კაციანი ბრიგადა.

ცნობილია, რომ:

- როგორც არ უნდა გადაანაწილონ თანამშრომლები, ნებისმიერ ბრიგადაში 3 ეკონომისტი მაინც აღმოჩნდება.
- იურისტები შეიძლება ისე გადაანაწილდნენ, რომ თითოეულ ბრიგადაში 2 იურისტი მაინც აღმოჩნდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ეკონომისტთა რაოდენობა სარევიზიო ჯგუფში?

(ა) 19

(ბ) 20

(გ) 22

(დ) 23

(ე) 25

ამოცანა 26.

მრგვალ მაგიდას ერთმანეთისაგან თანაბარი დაშორებით უზის სულ 6 ადამიანი: 3 ქალი – ანა, ზაია, გვანცა, და 3 კაცი – კოტე, ლაშა და მინდია.

ცნობილია, რომ:

- მინდია ზის იმ ქალის მარცხნივ, ვინც ზის იმ კაცის მარცხნივ, ვინც ანას მარცხნივ ზის.
- ლაშა ზის იმ ქალის მარცხნივ, ვინც ზის კოტეს მარცხნივ.
- ზაიას ქმრის მარცხნივ გვანცა ზის.
- ზაია არ ზის თავისი ქმრის გვერდით.


ვინ ზის ზაიას მარცხნივ?

შენიშვნა: „მარცხნივ“ ყველგან გაიგება, როგორც „უშუალოდ მარცხნივ“.

- (ა) ანა
- (ბ) გვანცა
- (გ) კოტე
- (დ) ლაშა
- (ე) მინდია

ამოცანა 27.

მანანას ოთხი ცარიელი შავი ყუთი აქვს. მან ერთ ყუთში მოათავსა მხოლოდ წითელი, მეორეში – მხოლოდ ლურჯი, მესამეში – როგორც წითელი, ისე ლურჯი ბურთულები, მეოთხე კი ცარიელი დატოვა. შემდეგ თითოეულ ყუთს გაუკეთა წარწერა (იხ. ნახაზი) ისე, რომ არცერთ ყუთზე გაკეთებული წარწერა არ იყო ჭეშმარიტი.



დასაშვებია ერთადერთი ყუთის გახსნა და ამ ყუთიდან ერთადერთი ბურთულის ფერის ნახვა.

როგორ არის შესაძლებელი, რომ ზუსტად დავადგინოთ, თუ რა ფერის ბურთულებია თითოეულ ყუთში?

- (ა) შესაძლებელია I ყუთის გახსნით.
- (ბ) შესაძლებელია II ყუთის გახსნით.
- (გ) შესაძლებელია III ყუთის გახსნით.
- (დ) შესაძლებელია IV ყუთის გახსნით.
- (ე) შეუძლებელია, მხოლოდ ერთი ყუთის ერთი ბურთულის ფერის ცოდნა არ არის საკმარისი.

ამოცანა 28.

A, B, C, D და E წინადადებებია, რომელთაგან თითოეული არის ან ჭეშმარიტი, ან მცდარი. ჭეშმარიტია პირობები:


- თუ A ჭეშმარიტია, მაშინ ჭეშმარიტია B.
- B-სა და C-ს შორის მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი.
- თუ C ჭეშმარიტია, მაშინ ჭეშმარიტია D.
- D-სა და E-ს შორის მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი.

სავარაუდო პასუხებში მოცემული პირობებიდან რომლის შესრულებაა საკმარისი იმისათვის, რომ დანამდვილებით განისაზღვროს, თუ რომელია ჭეშმარიტი და რომელი მცდარი A, B, C, D და E წინადადებებიდან?

- (ა) A ჭეშმარიტია
- (ბ) B მცდარია
- (გ) C მცდარია
- (დ) D მცდარია
- (ე) E ჭეშმარიტია

ამოცანები 29-32 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

სურათი 1-ზე მოცემულ ფიგურაში შემავალი უჯრები უნდა შეღებონ: ერთი წითლად, ორი – შავად, სამი – მწვანედ და ოთხი – ლურჯად; თანაც ისე, რომ ერთი და იმავე ფერის უჯრათა არცერთი წყვილი ერთმანეთს არ ეხებოდეს.



სურათი 1.

ამოცანა 29.

რა ფერად შეიღებება IV დონეზე მდებარე ერთადერთი უჯრა?

- (ა) წითლად
- (ბ) შავად
- (გ) მწვანედ
- (დ) ლურჯად
- (ე) ან შავად, ან მწვანედ

ამოცანა 30.

რომელი ფერი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერ დონეზე?

- (ა) არცერთი (ბ) წითელი (გ) შავი (დ) მწვანე (ე) ლურჯი

ამოცანა 31.

რომელია ის დონე, რომელზეც შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ფერი?

- (ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) მხოლოდ I, II და III

ამოცანა 32.

სულ რამდენი უჯრაა ისეთი, რომელიც შეიძლება წითლად შეიღებოს?


- (ა) 2 (ბ) 3 (გ) 4 (დ) 5 (ე) 6

ამოცანები 33-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მოკავშირეების მიერ ციხეზე შეტევა 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. თითოეულ დღეს შეტევა მხოლოდ თითო მხრიდან ხორციელდებოდა: აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან. ამასთან, თითო მხრიდან შეტევას თითო მოკავშირე – არაგორნი, ბორნი, გრეიჯოი ან დამიანი – ახორციელებდა.

შემონახულია შემდეგი უტყუარი ფაქტები:

- თითო მოკავშირემ თითო შეტევა განახორციელა.
- დამიანის შეტევა ორი დღით წინ უსწრებდა დასავლეთიდან შეტევას.
- გრეიჯოიმ შეუტია იმის საპირისპირო მხრიდან, საიდანაც განხორციელდა შეტევა I დღეს.
- რომელიღაც ორი ერთმანეთის მომდევნო დღე მაინც იყო ისეთი, რომ ამ დღეებში შეტევა ორი ურთიერთსაპირისპირო მხრიდან განხორციელდა.
- ბოლო დღეს აღმოსავლეთიდან შეტევა არ განხორციელებულა.



ამოცანა 33.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ასახავდეს სწორად მოკავშირეების მიერ შეტევების ქრონოლოგიასა და მიმართულებას?

	I დღე	II დღე	III დღე	IV დღე
(ა)	დამიანმა ჩრდილოეთიდან	გრეიჯოიმ აღმოსავლეთიდან	ბორნმა დასავლეთიდან	არაგორნმა სამხრეთიდან

	I დღე	II დღე	III დღე	IV დღე
(ბ)	ბორნმა ჩრდილოეთიდან	დამიანმა აღმოსავლეთიდან	გრეიჯოიმ სამხრეთიდან	არაგორნმა დასავლეთიდან

	I დღე	II დღე	III დღე	IV დღე
(გ)	ბორნმა აღმოსავლეთიდან	დამიანმა ჩრდილოეთიდან	არაგორნმა სამხრეთიდან	გრეიჯოიმ დასავლეთიდან

	I დღე	II დღე	III დღე	IV დღე
(დ)	დამიანმა სამხრეთიდან	გრეიჯოიმ ჩრდილოეთიდან	არაგორნმა დასავლეთიდან	ბორნმა აღმოსავლეთიდან

	I დღე	II დღე	III დღე	IV დღე
(ე)	დამიანმა სამხრეთიდან	გრეიჯოიმ ჩრდილოეთიდან	ბორნმა აღმოსავლეთიდან	არაგორნმა დასავლეთიდან

ამოცანა 34.

თუ ბორნის შეტევის უშუალოდ წინა დღეს შეტევა აღმოსავლეთიდან განხორციელდა, მაშინ რომელია შეუძლებელი?

- (ა) არაგორნმა აღმოსავლეთიდან შეუტია.
- (ბ) ბორნმა დასავლეთიდან შეუტია.
- (გ) გრეიჯოიმ სამხრეთიდან შეუტია.
- (დ) გრეიჯოიმ ჩრდილოეთიდან შეუტია.
- (ე) დამიანმა აღმოსავლეთიდან შეუტია.

ამოცანა 35.

მოკავშირეთაგან მეოთხე დღეს შეტევა შეიძლება განხორციელდებინა

- (ა) მხოლოდ გრეიჯოის.
- (ბ) მხოლოდ ბორნს.
- (გ) როგორც არაგორნს, ისე გრეიჯოის.
- (დ) როგორც ბორნს, ისე გრეიჯოის.
- (ე) როგორც არაგორნს, ისე ბორნს ან გრეიჯოის.

რადიენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

ამოცანა 36.

მოტოციკლისტთა 5-კაციანი ჯგუფიდან უნდა შედგეს ორადგილიანი მოტოციკლის 2-კაციანი ეკიპაჟი. ასეთი ეკიპაჟის შედგენის სულ რამდენი განსხვავებული ვარიანტი არსებობს?

შენიშვნა. ყოველი ასეთი ეკიპაჟი შედგება მძღოლისა და მგზავრისაგან. თითოეული მოტოციკლისტი შეიძლება იყოს როგორც მძღოლი, ისე მგზავრი. ამასთან, ორი ეკიპაჟი მიიჩნევა განსხვავებულად, თუ სრულდება ერთი მაინც შემდეგი ორი პირობიდან:

- ეკიპაჟების მძღოლები სხვადასხვაა;
- ეკიპაჟების მგზავრები სხვადასხვაა.

- (ა) 5
(ბ) 7
(გ) 10
(დ) 15
(ე) 20



ამოცანა 37.

გიორგიმ ქართული ანბანის 10 ასოს – „ა“, „ბ“, „ვ“, „ი“, „კ“, „მ“, „ნ“, „ო“, „რ“, „ტ“ – გამოყენებით შემდეგი სიტყვები შეადგინა: „მტკვარი“, „რიონი“, „არაგვი“, „იანვარი“, „მარტი“, „გარანტია“, „რვა“, „კარი“, „ორმაგი“, „გვიანი“, „კამკამა“, „იორი“, „მაგარი“.

შემდეგ მან ყველა ამ სიტყვაში ერთნაირი ასოები ერთნაირი ციფრებით, განსხვავებული ასოები კი განსხვავებული ციფრებით ისე ჩაანაცვლა, რომ ამ ჩანაცვლების შედეგად მიღებული რიცხვითი უტოლობები –

$$მ \cdot ტ \cdot კ \cdot ვ \cdot ა \cdot რ \cdot ი > რ \cdot ი \cdot ო \cdot ნ \cdot ი > ა \cdot რ \cdot ა \cdot გ \cdot ვ \cdot ი$$

– ჭეშმარიტი აღმოჩნდა (სიტყვებში ასოებს შორის მდებარე ყოველი წერტილი გამრავლების ოპერაციას აღნიშნავს).

ამ პირობებში, ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვითი ტოლობებიდან, რომელი იქნება აუცილებლად ჭეშმარიტი?

(ა) $რ \cdot ვ \cdot ა = მ \cdot ა \cdot რ \cdot ტ \cdot ი$

(ბ) $ო \cdot რ \cdot მ \cdot ა \cdot გ \cdot ი = გ \cdot ა \cdot რ \cdot ა \cdot ნ \cdot ტ \cdot ი \cdot ა$

(გ) $კ \cdot ა \cdot მ \cdot კ \cdot ა \cdot მ \cdot ა = ი \cdot ო \cdot რ \cdot ი$


(დ) $მ \cdot ა \cdot გ \cdot ა \cdot რ \cdot ი = კ \cdot ა \cdot რ \cdot ი$

(ე) $გ \cdot ვ \cdot ი \cdot ა \cdot ნ \cdot ი = ი \cdot ა \cdot ნ \cdot ვ \cdot ა \cdot რ \cdot ი$

ამოცანა 38.

სამშენებლო კომპანიამ ივნისში, ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში ახლადამშენებულ საცხოვრებელ კომპლექსში გაყიდა 1, 2 და 3-ოთახიანი ბინები. თითოეული 1-ოთახიანი ბინა გაიყიდა 30000\$-ად, თითოეული 2-ოთახიანი ბინა — 40000\$-ად, ხოლო თითოეული 3-ოთახიანი ბინა — 50000\$-ად.

დიაგრამაზე ნაჩვენებია კომპანიის მიერ გაყიდული 1, 2 და 3-ოთახიანი ბინების რაოდენობები თვეების მიხედვით.




რომელ თვეში მიიღო ამ გაყიდვებისაგან ყველაზე მეტი შემოსავალი კომპანიამ?

- (ა) ივნისში
- (ბ) ივლისში
- (გ) აგვისტოში
- (დ) სექტემბერში
- (ე) ოქტომბერში


ამოცანა 39.

მართკუთხედის ფორმის პარკს გარშემო აკრავს ABCDA ბილიკი, რომლის ზომებია: $AB = 800$ მ და $BC = 600$ მ (იხ. ნახაზი). O არის ამ მართკუთხედის დიაგონალების გადაკვეთის წერტილი.




დამსვენებელმა დაიწყო მოძრაობა A წერტილიდან ნახაზზე წყვეტილი ისრებით ნაჩვენები მიმართულებით და 56 წთ-ის შემდეგ კვლავ A წერტილში დაბრუნდა. იგი მოძრაობდა ამ ბილიკზე მუდმივი 50 მ/წთ სიჩქარით.


მოცემული ნახაზებიდან მხოლოდ ერთზეა გამოსახული მოძრაობის ამ პროცესში დამსვენებელიდან O წერტილამდე S მანძილის T დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რომელია ეს ნახაზი?




ნახაზი 1




ნახაზი 2



ნახაზი 3



ნახაზი 4



ნახაზი 5

- (ა) ნახაზი 1
- (ბ) ნახაზი 2
- (გ) ნახაზი 3
- (დ) ნახაზი 4
- (ე) ნახაზი 5

ამოცანა 40.


ABCD მართკუთხედის დიაგონალების გადაკვეთის O წერტილი შეერთებულია B და C წვეროებთან, ხოლო AB გვერდზე მდებარე M წერტილსა და O წერტილზე გამავალი წრფე CD გვერდს N წერტილში კვეთს (იხ. ნახაზი).

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. BOC სამკუთხედის ფართობი 6 სმ^2 -ის ტოლია.
- II. AMND ოთხკუთხედის ფართობი 12 სმ^2 -ის ტოლია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ ABCD მართკუთხედის ფართობი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.



ამოცანა 41.

ABCD მართკუთხედის BD დიაგონალზე მდებარე M წერტილი შეერთებულია AB გვერდის შუა K წერტილთან.

BD დიაგონალის სიგრძე a სმ-ია, ხოლო KM მონაკვეთის სიგრძე კი – h სმ.

მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ M წერტილი -----^I----- BD დიაგონალის შუა წერტილი, მაშინ
DKB სამკუთხედის ფართობი -----^{II}----- .“

ფრაგმენტთა შემდეგი ორი სვეტიდან აარჩიეთ თითო ფრაგმენტი და ჩასვით ისინი შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

I სვეტი

P. არის


Q. არ არის

II სვეტი

R. $\frac{ah}{2}$ სმ²-ზე ნაკლებია

S. $\frac{ah}{2}$ სმ²-ის ტოლია

T. $\frac{ah}{2}$ სმ²-ზე მეტია



(ა) $P \rightarrow R$

(ბ) $P \rightarrow S$

(გ) $P \rightarrow T$

(დ) $Q \rightarrow S$

(ე) $Q \rightarrow T$

ამოცანა 42.

სიბრტყეზე მოცემულია მართკუთხა საკოორდინატო სისტემა და ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული M და N წერტილი კოორდინატებით $M = (a_1; b_1)$ და $N = (a_2; b_2)$.

შემდეგი ოთხი – I, II, III, IV – პირობიდან

I. $a_1 + a_2 = 0$

II. $a_1 + b_2 = 0$

III. $b_1 + a_2 = 0$

IV. $b_1 + b_2 = 0$

რომელი ორის ცოდნაა საკმარისი იმის დასადგენად, გადის თუ არა ამ წერტილებზე გამავალი წრფე საკოორდინატო სისტემის სათავეზე?

(ა) I და II

(ბ) I და III

(გ) I და IV

(დ) II და III

(ე) II და IV

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა